



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის ს/ს ინსტიტუტი
თსუ ბიბლიოთეკა

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

„ენა და კულტურული იდენტობა“

|

პროგრამა და თეზისები

29 მაისი

2025

თბილისი

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

დარეჯან თვალთვაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

რამაზ ქურდაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი

ეკატერინე ნავროზაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

ზურაბ გაიპარაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი

მაია ლომია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ქეთევან მარგიანი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

სალომე ოშიაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ჯღარკავა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მონვეული ლექტორი, ფილოლოგიის დოქტორი

ხათუნა ჩუგოშვილი – შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზის ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

რეგლამენტი:

მოხსენება – 10 წუთი

დისკუსია – 3 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

პროგრამა

ხუთშაბათი, 29 მაისი

მონაწილეთა რეგისტრაცია

09.30 – 10.00

10.00

კონფერენციის გახსნა

თსუ ბიბლიოთეკა, I კორპუსი, მარო მაყაშვილის
დარბაზი

მისალმებები

დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

რამაზ ქურდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის
ხელმძღვანელი, პროფესორი

ზურაბ გაიპარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის
ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი

პირველი სექცია

**სხდომის თავმჯდომარეები – პროფესორი რამაზ ქურდაძე,
ფილოლოგიის დოქტორი გიორგი ჯღარკავა**

10.30 – 12.30

**თსუ ბიბლიოთეკა, I კორპუსი, მარო მაყაშვილის
დარბაზი**

ნინო ანანიძე, მარიამ სალუქვაძე

ბაკალავრიატის II კურსი, ინგლისური ფილოლოგია

**აჭარული და გურული დიალექტური მეტყველების
თავისებურებანი**

ხელმძღვანელი: დოქტორანტი, თსუ-ს მონვეული ლექტორი ნინო
ნოზაძე

მანანა ბანცაძე, ირინა სიჭინავა

ბაკალავრიატის III კურსი, ქართული ფილოლოგია

**მეგრული პოტენციალისის ზმნურ ფორმათა ქართულად
გადმოცემის ენობრივი საშუალებები**

ხელმძღვანელი: დოქტორი, თსუ-ს მონვეული ლექტორი გიორგი
ჯღარკავა

გიორგი გაფრინდაშვილი

დოქტორანტი, ისტორიის სადოქტორო პროგრამა

**ქართული ენა, როგორც lingua franca შუა საუკუნეების
ჩრდილოეთ კავკასიაში**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ჯონი კეციანი

მარიამ თხინვალელი

*მაგისტრატურის II კურსი, შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის
ფილოლოგია*

**გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი იონას გალობის
შემცველი წყაროების მიხედვით**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ანა ხარანაული

ნინო ვარდიაშვილი

მაგისტრატურის II კურსი, შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია

ლექსიკური განსხვავებები ოშკისა და იერუსალიმის ხელნაწერებს შორის (მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით)

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ანა ხარანაული

ქეთევან კოდელაშვილი

მაგისტრატურის I კურსი, ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და საგამომცემლო-სარედაქციო საქმე

მულტიფუნქციური ციფრული გამოცემებისა და კორპუსზე დაფუძნებული სტილომეტრიის სინერგია ტექსტოლოგიური კვლევის განვითარებისათვის

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაკა ელბაქიძე

კესო შამათავა

ბაკალავრიატის III კურსი, ქართული ფილოლოგია

ერგატივის ფუნქციური დატვირთვა მეგრულში

ხელმძღვანელი: დოქტორი, თსუ-ს მონვეული ლექტორი გიორგი ჯღარკავა

მარიტა აშორტია

მაგისტრატურის I კურსი, ქართველური ენათმეცნიერება

მარიამ ხუბუნაია

დოქტორანტი, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

აკაკი წერეთელი ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებისა და არასალიტერატურო ქართველური ენების შესახებ

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ლომია

შესვენება

12.30 – 13.00

მეორე სექცია

სხდომის თავმჯდომარეები – ასოცირებული პროფესორი

სალომე ოშიაძე

ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი

13.00 – 14.30

თსუ ბიბლიოთეკა, I კორპუსი, მარო მაყაშვილის

დარბაზი

ნანა შოშიაშვილი

დოქტორანტი, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

ანთროპონიმები იაკობ გოგებაშვილის საანბანე

სახელმძღვანელოში

ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი

დიანა ბოლქვაძე

მაგისტრატურის II კურსი, ქართველური ენათმეცნიერება

ენობრივი შეცდომები სატელევიზიო რეკლამაში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სალომე ოშიაძე

ნინო დარჩიაშვილი

ბაკალავრიატის IV კურსი, ქართული ფილოლოგია

სომატონიმთა შემცველი მსაზღვრელები კახურ დიალექტურ

დისკურსში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სალომე ოშიაძე

ნათია ლაბაძე, მარიამ ლიპარტელიანი, ანი ნაყოფია, მონიკა

ცინდელიანი

ბაკალავრიატის II და III კურსი, ქართული ფილოლოგია

**სტუდენტთა ლინგვისტური ექსპედიციის ანგარიში-მოხსენება
(მესტიის მუნიციპალიტეტი)**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი

ბექა ფაჩულია

ბაკალავრიატის IV კურსი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი

იოსებ ყიფშიძე ქართველური ენების სწავლისა და სწავლების მნიშვნელობაზე

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ლომია

ქრისტინე ხობელია

ბაკალავრიატის II კურსი, ინგლისური ფილოლოგია

საველე მუშაობა ჩემს სოფელში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ლომია

შესვენება

14.30 – 15.00

მესამე სექცია

თსუ ბიბლიოთეკა, I კორპუსი, მარო მაყაშვილის
დარბაზი

15.00 – 16.00

**შეხვედრა იაპონელ ენათმეცნიერ-ქართველოლოგთან და
მთარგმნელთან იასუჰირო კოჯიმასთან**

**მოდერატორები – მაია ლომია, ასოცირებული პროფესორი
ავთანდილ ბალათურია და ლუკა ქავთარაძე**
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები

კონფერენციის დახურვა

16.00



ნინო ანანიძე, მარიამ სალუქვაძე

აჭარული და გურული დიალექტური მეტყველების თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები: გურული დიალექტი, აჭარული დიალექტი,
დიალექტური მეტყველება.

ენა ინდივიდის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. საქართველოს ცალკეულ კუთხეებში ენობრივი თავისებურებანი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ კუთხეების მკვიდრთა ხასიათთან. მოხსენების მიზანია, ქართული ენის დასავლური დიალექტების – აჭარულისა და გურულის სამეტყველო თავისებურებათა წარმოჩენა; აღსანიშნავია, რომ დიალექტების გამოყენება დროთა განმავლობაში იცვლება. ხანდაზმული თაობა იყენებს და ინარჩუნებს ტრადიციულ კუთხურ გამონათქვამებს, ახალგაზრდები კი შინ მეტყველების დროსაც უპირატესობას ლიტერატურულ ქართულს ანიჭებენ და ნაკლებად იყენებენ დიალექტურ ფორმებს. გარდა თაობათა შორის განსხვავებებისა, საზგასამელია რეგიონალური თავისებურებებიც: მთიან აჭარასა და გურიის ლანჩხუთ-ჩოხატაურის ზონაში დიალექტი უფრო არქაულ ფორმებს ინარჩუნებს და მას ინტენსიურად იყენებენ, მაშინ როცა ქობულეთში, ბათუმსა და ოზურგეთში მას შედარებით ნაკლებად მიმართავენ; ასევე, ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე, აჭარულ დიალექტში მკაფიოდ ჩანს თურქული ენის გავლენა, განსაკუთრებით ლექსიკაზე, რაც გამოკვეთს საზოგადოების წევრთა საკომუნიკაციო არეალს. გურია ცნობილია იუმორით და გურული დიალექტური გამონათქვამებიც ამ მხრივ გამოირჩევა. აჭარული და გურული დიალექტური მეტყველება ნათლად ასახავს რეგიონში მიმდინარე სოციალურ და კულტურულ ცვლილებებსაც.

ამრიგად, დიალექტი მნიშვნელოვანია რეგიონული თავისებურების შესანარჩუნებლად და გადმოსაცემად. დიალექტური მეტყველების საშუალებით ხშირად ფაქტები და მოვლენები მეტი სემანტიკური სიზუსტით გადმოიცემა, ვიდრე სალიტერატურო ენაზე; სწორედ ამიტომ, საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს დიალექტების პოპულარიზაციას.

მარიტა აშორტია, მარიამ ხუბუნაია

აკაკი წერეთელი ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებისა და არასალიტერატურო ქართველური ენების შესახებ

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, ქართველური ენები, დიალექტები, ენობრივი პოზიცია.

მწერლის ენობრივი პოზიცია მის მხატვრულ თხზულებებში ჩანს, თუმცა საინტერესოა ამ მიმართულებით პუბლიცისტურ წერილებში გამოთქმული მოსაზრებაც. „აკაკი [წერეთელმა] იცოდა: მწერალმა რომ თავისი მისია შეასრულოს, ის სხვაზე მეტად უნდა სწვდებოდეს მშობლიური ენის როგორც სიღრმისეულ, ასევე სიბრტყისეულ შრეებს; ე.ი ფლობდეს როგორც წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი, ისე სასაუბრო ენის სიმდიდრეს, კილოურ სინონიმებს“ (კ. დანელია). როგორც ცნობილია, აკაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფოლკლორული და დიალექტური მასალების შეგროვებასა და გამოცემას; მწერალთაგან ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მოითხოვა არასალიტერატურო ქართველური ენების – მეგრულის, ქანურის (ლაზურის), სვანურის შესწავლა ქართულის ლექსიკის გამდიდრების მიზნით.

მოხსენების მიზანია, წარმოაჩინოს აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებისა და არასალიტერატურო ქართველური ენების მიმართ. საკითხის მიმოხილვა ეყრდნობა თავად ავტორის პუბლიცისტურ წერილ „ნადულში“

(1911) გამოთქმულ თვალსაზრისებს და კორნელი დანელიას წერილს „აკაკი წერეთლის ნააზრევი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე“ (დაიბეჭდა ჟ. „ცისკარში“, №8, 1991 წელი).

მანანა ბანცაძე, ირინა სიჭინავა

მეგრული პოტენციალისის ზმნურ ფორმათა ქართულად გადმოცემის ენობრივი საშუალებები

საკვანძო სიტყვები: მეგრული ენა, ქართული ენა, პოტენციალისის კატეგორია.

პოტენციალისი უნივერსალური კატეგორიაა. იგი ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა გამოხატვის ფორმები თვით მონათესავე ენებს შორისაც კი შეიძლება განსხვავებული იყოს.

პოტენციალისის ენობრივი გამოხატვა მჭიდროდ უკავშირდება პასივის (ვნებითი გვარის) წარმოებას; ამგვარ სიმჭიდროვეს განაპირობებს ის, რომ მოქმედების განცდა – სუბიექტის უნებლიობა და პოტენციალისი – სუბიექტის შესაძლებლობა სემანტიკურად ახლოსაა ერთმანეთთან; ცნობილია, რომ ქართული და მეგრული მონათესავე ქართველური ენებია; ისინი სტატუსით განსხვავდებიან: ქართული სალიტერატურო ენაა, ხოლო მეგრული – არასალიტერატურო. არასალიტერატურო ენები ხშირად სალიტერატუროსაგან განსხვავებულ გრამატიკულ ფორმებს ქმნიან; ერთ-ერთი ასეთია სწორედ პოტენციალისის ზმნური ფორმების არსებობა მეგრულში. ქართველურ ენათაგან პოტენციალისის მორფოლოგიური კატეგორია მხოლოდ მეგრულმა განივითარა; კერძოდ, ვნებითის მოდელის მიხედვით და სპეციალური მარკერებით შეიქმნა პოტენციალისის ზმნური ფორმები მეგრულში; ქართულში შესაბამისი ფორმები პასივით ან აღწერითად გადმოიცემა; მაგალითად,

(1) უშქური ი-ჭკომ-უ (ი- – -უ /პასივი) „ვაშლი იჭმევა“, შდრ.: უშქური ი-ჭკომ-ე (ი- – -ე /პოტენციალისი) „ვაშლი იჭმევა“ ან: „ვაშლი შეიძლება შეიჭამოს“.

(2) წერილი ი-ჭარუ-უ (ი- – -უ /პასივი) „წერილი ინერება“, შდრ.: წერილი ი-ჭარ-ე (ი- – -ე /პოტენციალისი) „წერილი შეიძლება დაინეროს“.

დიანა ბოლქვაძე

ენობრივი შეცდომები სატელევიზიო რეკლამაში

საკვანძო სიტყვები: სალიტერატურო ენის ნორმები, მორფოლოგიური შეცდომები, სინტაქსური შეცდომები, ლექსიკურ-სტილისტიკური საკითხები.

სატელევიზიო რეკლამა დამკვეთს საშუალებას აძლევს ვიზუალური და ხმოვანი ეფექტები ერთობლივად გამოიყენოს პოტენციური მომხმარებლისთვის სტიმულის მისაცემად. შესაბამისად, სატელევიზიო რეკლამა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა გუნდური მუშაობის შედეგია. ამ გუნდში ერთ-ერთი მთავარი როლი სარეკლამო ტექსტზე მომუშავეს ეკისრება. შემოქმედებითობის, წერის განსაკუთრებული უნარის გარდა, ბუნებრივია, მას ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ცოდნაც მოეთხოვება, რათა გამართული სარეკლამო ტექსტი შექმნას (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ გგულისხმობთ რეკლამებს, რომელთა ტექსტიც, სარეკლამო მიზნებიდან გამომდინარე, დიალექტურია და ემსახურება ადგილობრივი კოლორიტის წარმოჩენას, მომხმარებლისთვის სიახლოვის და სანდოობის განცდის აღძვრას).

მოხსენებაში განვიხილავთ ჩვენ მიერ გამოვლენილ შეცდომებს, რომლებიც ენის ყველა დონეს მოიცავს. მორფოლოგიური შეცდომებიდან აღსანიშნავია ზმნისწინთა უმართებულო ხმარების (ავლნიშნოთ, ანახლებს); პირის ნიშანთა კლების(ქვია, ყავს, მიყვები), მრავლობითი რიცხვის უქონელ სახელთა მრავლობითის ფორმით გამოყენების (თანამედროვე გადაწყვეტები), რედუცირებად ფუძეთა უკუმშველობის (საჭმელის გადამუშავება) და სხვა შემთხვევები.

სინტაქსური შეცდომებიდან უნდა გამოვყოთ სიმრავლის გამომხატველ მსაზღვრელთან საზღვრულის მრავლობით რიცხვში ხმარების (მეტი ინგრედიენტები, სხვადასხვა დაავადებები), რამდენიმე არაერთგვარი მსაზღვრელის უმართებულო რიგის (მდიდრული თმის მოვლა სახლში), მისათითებელი სიტყვისა და წევრ-კავშირის შეუთანხმებლობის (ისეთივე, როგორც) შემთხვევები. ლექსიკურ-სტილისტიკური თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კალკირებული კონსტრუქციები (ლიდერი თმის გადანერგვაში), ისეთი სახელურ-ზმნური შესიტყვებები, რომლებშიც ერთ-ერთი სიტყვა სრულიად ზედმეტია (მკურნალობა ხდება, მიაღწიებს მას დაცვას) და სხვ.

ტელემაყურებელთა სიმრავლიდან გამომდინარე, სარეკლამო ტექსტებში დაშვებული ენობრივი შეცდომები გავრცელების მეტ საფრთხეს შეიცავს. სწორედ ამიტომ ავირჩიეთ საანალიზოდ სატელევიზიო რეკლამის ენა.

გიორგი გაფრინდაშვილი

ქართული ენა, როგორც *lingua franca* შუა საუკუნეების ჩრდილოეთ კავკასიაში

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ერთიანი კავკასია, ინტეგრაცია.

დღევანდელ მრავალპოლუსიან სამყაროში მეტად მნიშვნელოვანია სოლიდარობა და მშვიდობა კავკასიის რეგიონში, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ მხრივ ქართული სახელმწიფო უძველესი დროიდან წამყვან როლს ასრულებდა. გიორგი I-ის მიერ კავკასიის კონსოლიდაციის პირველი წარუმატებელი მცდელობიდან და ლეონტი მროველის კონცეფციის შექმნიდან დაახლოებით ნახევარი საუკუნე იყო გასული, როცა საქართველომ დაიწყო ერთიანი კავკასიის იდეის განხორციელება. ამ პროცესის ერთ-ერთი მარკერი იყო ქართული ენის *lingua franca*-დ გადაქცევა კავკასიელი ეთნოსებისათვის. ჩრდილოკავკასიაში, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, ბიზანტიურთან ერთად ქართული ტრადიციული

ქრისტიანობის არსებობას ადასტურებს უამრავი სამლოცველო, სამშენებლო და ლიტურგიკული შინაარსის ქართული წერილობითი ძეგლები.

ჩრდილოკავკასიაში ქართული ენის არსებობის შესახებ სხვა მრავალი მტკიცებულებაც მოგვეპოვება: XIV საუკუნეში მთიანი და-ღესტნის ტერიტორიაზე მინიმუმ 3 – ხუნძახის, ანწუხისა და წახურის საეპისკოპოსოები არსებობდა. ცნობილია XV საუკუნეში მოღვაწე ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი; გარდა ამისა, ტყობა-ერდის ტაძარში მეღქმისედეკ კათალიკოსი მოხსენიებულია, „ვითარცა აღმოსავლეთის პატრიარქი.“ საინტერესოა, რომ დაღესტანში, ხუნძეთის ქვეყნის დედაქალაქში, აღმოჩენილია თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძარი მრავალი ქართული წარწერით. ის, სავარაუდოდ, ქართული ეკლესიის საკულტო ნაგებობა უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთ კავკასიაში და არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ თორმეტი მოციქულის სახელზეა აგებული. სამხრეთ კავკასიაში შუა საუკუნეების პერიოდში ქართული ეკლესიის უმთავრესი სულიერი დედაბოძი – სვეტიცხოველი თორმეტი მოციქულის სახელზე აიგო. ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ერთ-ერთი უმთავრესი ტაძარიც სვეტიცხოვლის მიბაძვით შეიძლება სახელდებულიყო თორმეტი მოციქულისად. ჩრდილოეთ კავკასიაში წერილობითი ძეგლების უმეტესობა ადგილობრივ კალიგრაფოსთა მიერაა შექმნილი; ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენა მათ კარგად იცოდნენ; მეტიც, ჩრდილოკავკასიელი მრევლისთვისაც, რომელიც ქართულენოვან საეკლესიო მსახურებებს ესწრებოდა, როგორც მინიმუმ, უცხო არ უნდა ყოფილიყო ქართული. ეს კი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ჩრდილოკავკასიაში ქართული ენა გარკვეულწილად გადაქცეული იყო *lingua franca*-დ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, განსაკუთრებით კი დაღესტანში, სადაც 30-მდე ადგილობრივი ენაა, ქართული იყო საერთაშორისო სასაუბრო ენა.

ეს პროცესი უნდა ჩავთვალოთ ერთიანი კავკასიის იდეის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტად, რაც შუა საუკუნეებში ქართული პოლიტიკური ელიტის განცხადებული მიზანსწრაფვა გახლდათ.

ნინო დარჩიაშვილი

სომატონიმთა შემცველი მსაზღვრელები კახურ დიალექტურ დისკურსში

საკვანძო სიტყვები: სომატონიმი, კომპოზიტი, სიტყვანარმოებითი სუფიქსი.

დისკურსზე დაკვირვება საუკეთესო არჩევანია, როდესაც ამოცანა ამა თუ იმ დიალექტზე მეტყველი ერთობის მსოფლხედვისა და მენტალიტეტის შესწავლაა. დისკურსი, როგორც სოციალური პრაქტიკა, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ამ ერთობის ნევრთა შეხედულებებსა და ღირებულებებს.

ცალკეული მოვლენისა თუ საგნის შეფასებათა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ადამიანის მიერ დანახული სხვა ადამიანი. კახური დიალექტის არჩევა ჩვენმა წარმოშობამ განაპირობა. უ. სახლთხუციშვილის „გარეკახურ ლექსიკონსა“ და ს. მენთეშვილის „ქიზიყურ ლექსიკონზე“ დაყრდნობით, განვიხილეთ კახურ დიალექტში დადასტურებული ადამიანთა მსაზღვრელი სახელები, რომლებიც, ობიექტის რაობასთან ერთად, მთქმელის სუბიექტურ შეფასებას გამოხატავენ.

საანალიზო მასალაში გამოიყო ერთი ჯგუფი მსაზღვრელებისა, რომლებიც სომატონიმების მონაწილეობით არის შექმნილი. სომატური ლექსიკიდან ადამიანის დასახასიათებლად გვხვდება: **გული** (გულშავი, გულღრძოი, გულყვითელა, გულღადარა / გულჭადარა, გულჯაგარა, გულის მურაზი, გულქართლი...), **თავი** (თავბლერილი, თავქაჯშეყრილი, თავქეიფა, თავმიცემული...), **პირი** (პირბუტყაყი, პირგურგალი, პირტუტყუბანა, პირსისხლიანი...), **ენა** (ენამზრავლი, ენატაკია / ენატლაკია, ენაპირიანი...), **თვალი** (თვალიანი, თვაღადი, თვაღმახარა, თვაღგუდალი, თვაღღრმა...), **ყური** (ავყური, ყურმოდვრენილი, ყურდაგდებული...), **ხელი** (ხელი(ს) წამკრავი, ჯელგამომდინარე, ჯელთგამავალი, ჯელთმრავალი, ჯელხვა-ვიანი, ჯელგარეთა, ჯელთუყარი, ჯელმოკიდებული, ჯელმრუდი...), **ფეხი** (ფეხგამხმარი, ფეხათრეული, ფეხამოკვეთილი, ფეხბაკუკა,

ფეჰმართალი, ფეხგაბონკინტებული, ფეხებდახენთილი, ფეჰმძიმე, ფეხიდან მოცვეთილი...), **მუცელი / ღიპი** (მუცელა, მუცელმერთა, მუცელჩასახეთი, მუცელგადაყოლილი, ღიპლიკანა) და სხვ.

აღნიშნული ჯგუფის მსაზღვრელები ძირითადად რთული სიტყვებია. ასეთ შემთხვევაში სომატონიმი უმთავრესად კომპოზიტის პირველ კომპონენტად გვხვდება, თუმცა დასტურდება მარტივფუძიანი მსაზღვრელებიც, რომლებიც სომატური ლექსემის ფუძეზე დერივაციულ აფიქსთა დართვით არიან მიღებული.

მოხსენებაში განვიხილავთ: ა) ყველაზე პროდუქტიულ სტრუქტურულ მოდელებს – **სომატონიმის ფუძე + სიტყვანარმოებითი სუფიქსი (-ა / -იან / -ად)**: მუცელ-ა, კისერ-ა, ქედ-ა; თვალ-იან-ი, ლაშ-იან-ი; თვალ-ად-ი; **სომატონიმის ფუძე + მიმღობა / ზედსართავი სახელი**: ფეხგამხმარი, ხელმოკიდებული, თავმიცემული; ბ) აღნიშნული მოდელებით შექმნილ მსაზღვრელთა სემანტიკასა და სტილურ შეფერილობას.

ნინო ვარდიაშვილი

ლექსიკური განსხვავებები ოშკისა და იერუსალიმის ხელნაწერებს შორის (მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით)

საკვანძო სიტყვები: ტექსტოლოგია, ძველი ქართული ლექსიკა, სინონიმური სიტყვათმონაცვლეობა.

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ძველი ქართული თარგმანი ჩვენამდე მოღწეულია ბიბლიისა ((ოშკური (Ath. 1, 978-796.), იერუსალიმური (Jer. Geo. 7/11 XI ს.)) და ლიტურგიკული კრებულებით. ოშკურ და იერუსალიმურ ხელნაწერებში დაცული ტექსტი არის ერთი რეცენზიის ტექსტი. მცირე სხვაობათა შორის, რაც გვხვდება დასახელებულ ხელნაწერებში, არის ლექსიკური განსხვავებებიც.

მოხსენება შეეხება ლექსიკურ განსხვავებებს, რომლებიც გვხვდება ოშკური და იერუსალიმური ბიბლიის ხელნაწერებში

დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა ნიგნებში. პროფ. კორნელი დანელია მიმოიხილავს ამ საკითხს. მისი აზრით, ოშკური და იერუსალიმური ხელნაწერებისათვის ნიშანდობლივია სინონიმური სიტყვათმონაცვლეობა, რასაც გადამწერთა ხელიდან მომდინარედ მიიჩნევენ. ჩვენი მიზანია:

1. დავაკვირდეთ ოშკურ და იერუსალიმურ ხელნაწერებს შორის არსებულ ლექსიკურ განსხვავებებს და შევეცადოთ ავხსნათ ამის გამომწვევი მიზეზები.

2. განვსაზღვროთ თავდაპირველი იკითხვისის დადგენის პრიციპები და მეთოდოლოგია.

ლექსიკური განსხვავებები შეიძლება იყოს ნებისითიც და უნებლიეც. უნებლიე შეცდომებია: ამოკითხვის შედეგად მიღებული (მსგავს გრაფემათა აღრევის ან დაზიანებული დედნის გამო), პარალელური ადგილიდან მომდინარე და სხვ. ნებისით ცვლილებებს იწვევს რთული იკითხვისის გამარტივება ან განსხვავებული ბერძნული დედანი, რომელსაც შეიძლება ადარებდეს ტექსტის რევიზორი.

მარიამ თხინვალელი

გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი იონას გალობის შემცველი წყაროების მიხედვით

საკვანძო სიტყვები: გიორგი მთაწმინდელი, იონას გალობა, საწინასწარმეტყველო.

მოხსენების მიზანია გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილის განხილვა. ჩვენ გვაინტერესებს, რა პრინციპით მუშაობდა გიორგი ათონელი და რა იყო მისთვის, როგორც რევიზორისათვის, დამახასიათებელი. საანალიზო მასალად შერჩეულია იონას გალობის ტექსტი, რომელზეც გიორგი ათონელს უმუშავია, როგორც ფსალმუნისა და გალობების თარგმნა-რედაქტირების დროს, ასევე საწინასწარმეტყველოს კრებულის შედგენისას (გიორგი მთაწმინდელი

საწინასწარმეტყველოს ანუ პროფეტოლოგიონის შემდგენლად და მთარგმნელად დასახელებულია გიორგი მცირის „გიორგი მთანმინდელის ცხოვრებასა“ და პროფეტოლოგიონის A-192 ხელნაწერის ანდერძი); ამასთან ერთად, იონას გალობის გიორგისეული ვერსიის ტექსტი შესულია ფსალმუნთა კომენტირებულ კრებულებში, K-29 და Q-37 ხელნაწერებში. Q-37 ხელნაწერზე დართული ეფრემის ვრცელი წინასიტყვის მიხედვით, მას კრებულის შედგენისას გიორგი მთანმინდელის ფსალმუნით უსარგებლია და არაფერი შეუცვლია. ფსალმუნის გიორგი ათონელისეული ვერსიის ხელნაწერები მრავლად მოიპოვება; კვლევისას ვეყრდნობით Jer. 161 და Jer. 133 ხელნაწერებს (მზ. შანიძის გამოცემის „ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციების“ მიხედვით). ჩვენამდე ასევე მოღწეულია პროფეტოლოგიონის არაერთი ხელნაწერი (Jer. 59, Jer. 66, Jer. 99, Jer. 118, Jer. 130, Ivir. 35, A-192 და სხვ.), რომლებიც მეტ-ნაკლებად შეცვლილია გადამწერების მიერ.

ამრიგად, ხელთ გვაქვს იონას გალობის გიორგი ათონელისეული ვერსიის შემცველი სამი წყარო: ფსალმუნი, საწინასწარმეტყველო და ფსალმუნის კომენტირებული კრებულები. ჩვენი მიზანია, ტექსტების ბერძნულ დედანთან და ერთმანეთთან შედარების საფუძველზე გავარკვიოთ და პასუხი გავცეთ კითხვებს:

ა) გამოჩნდება თუ არა გიორგი მთანმინდელის მუშაობის ეტაპები? ჯერ ფსალმუნი ასწორა თუ საწინასწარმეტყველო?

ბ) რამდენად მიჰყვება და ეთანხმება ეს ორი ტექსტი ერთმანეთს? ცვლის თუ არა გიორგი ათონელი ერთსა და იმავეს საწინასწარმეტყველოსა და ფსალმუნში?

გ) რა ტიპის სხვაობებია ამ ტექსტებს შორის და რა განაპირობებს მას – ბერძნული წყარო თუ თარგმანის ტექნიკა?

დ) განსხვავებები ფსალმუნსა და პროფეტოლოგიონის ხელნაწერებს შორის გიორგისეულია თუ გადამწერისეული?

ქეთევან კოდელაშვილი

მულტიფუნქციური ციფრული გამოცემებისა და კორპუსზე დაფუძნებული სტილომეტრიის სინერგია ტექსტოლოგიური კვლევის განვითარებისათვის

საკვანძო სიტყვები: ციფრული გამოცემები, სტილომეტრია, ტექსტოლოგიური კვლევა.

21-ე საუკუნე არის ციფრული ტექნოლოგიების ეპოქა; ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერების ყველა დარგი განვითარდეს ამ მიმართულებითაც და დროს აუწყოს ფეხი. დღესდღეობით ტექსტოლოგიაც ამ გამოწვევის წინაშეა. იმისთვის, რომ მან ფუნქცია არ დაკარგოს და თავი დაიმკვიდროს ციფრულ სამყაროში, აუცილებელია, რომ გადაერთოს ციფრული დამუშევების რეჟიმზე, ე.ი. ტრადიციული ტექსტოლოგიის პარადიგმის ცვლის დროა. მულტიფუნქციური ციფრული აკადემიური გამოცემები ნამდვილად გაუმარტივებს მეცნიერს კვლევის პროცესს, თუმცა, იმისთვის, რომ მსგავსი გამოცემა სანდო და ავთენტური იყოს, საჭიროა ახალი მიდგომა, რომლის მეშვეობითაც ავტორობის საკითხი ნაკლებად დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ შემთხვევაში შეგვიძლია მივმართოთ კორპუსზე დაფუძნებულ სტილომეტრიას, რომელიც მაქსიმალურ სიზუსტეს უზრუნველყოფს, ძველი და ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით. ციფრული აკადემიური გამოცემისა და კორპუსული სტილომეტრიის სინერგია, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქართულ ტექსტოლოგიაში, რადგან გამოცემა მეტად სანდო გახდება, ხოლო ტრადიციული ტექსტოლოგია ციფრული მიმართულებით განვითარდება.

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს მულტიფუნქციური ციფრული აკადემიური გამოცემისა და კორპუსზე დამყარებული სტილომეტრიის სინერგიის მნიშვნელობისა და როლის წარმოჩენას, ტრადიციული და თანამედროვე ტექსტოლოგიის მიდგომებისა და კვლევის მეთოდების შედარებას. ქართულ ტექსტოლოგიაში ატრიბუციის კვლევის აღნიშნული მეთოდები არ არის დამკვიდრებული;

შესაბამისად, მოცემული ნაშრომი მკვლევრებსა და მეცნიერებს სთავაზობს ახალ სტანდარტს, რომელსაც გააჩნია ინტერდისციპლინური მიდგომა ტექსტების კრიტიკული გამოცემებისთვის, რომლის დროსაც კვლევა დაეყრდნობა მონაცემებზე დაფუძნებულ ობიექტურ ანალიზს, ნაცვლად სუბიექტური ანალიზისა.

**ნათია ლაბაძე, მარიამ ლიპარტელიანი,
ანი ნაყოფია, მონიკა ცინდელიანი**

სტუდენტთა ლინგვისტური ექსპედიციის ანგარიში-მოხსენება (მესტიის მუნიციპალიტეტი)

საკვანძო სიტყვები: სვანური ენა, ლინგვისტური ექსპედიცია, ბრუნების თავისებურებანი.

მოხსენებაში წარმოდგენილია 2024 წლის ზაფხულში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართული ფილოლოგიის“ მიმართულების სტუდენტთა მონაწილეობით სვანეთში, კერძოდ, მესტიის მუნიციპალიტეტში, განხორციელებული ლინგვისტური ექსპედიციის ანგარიში.

სვანური ენა, მეგრულთან, ლაზურთან და ქართულთან ერთად, მიეკუთვნება სამხრეთ-კავკასიურ ენათა ჯგუფს; ამ ენათაგან სალიტერატურო (მწიგნობრული) ენა ქართულია, დანარჩენები კი არასალიტერატურო ენებია, თუმცა ფუნქციონალურად ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან. სვანურში ტრადიციულად ოთხი დიალექტი გამოიყოფა: ბალსზემოური, ბალსქვემოური (ზემოსვანური დიალექტები), ლაშხური და ლენტეხური (ქვემოსვანური დიალექტები). ამ დიალექტთა გამოყოფის ძირითადი საფუძველია ხმოვანთა სისტემაში არსებული მრავალფეროვნება, რაც წარმოქმნილია ორი დაპირისპირების – სიგრძე-სიმოკლისა და უმლაუტის ქონა-უქონლობის საფუძველზე. როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, სვანური ენა თანამედროვე ქართველურ ენათაგან ყველაზე ახლოს დგას საერთო-ქართველურ ფუძეენასთან; შესაბამისად, დიდი ინ-

ტერესის შემცველია ამ ენის კვლევა მისი განვითარების ყველა ეტაპზე; ლინგვისტური ექსპედიციის დროს კი არის სინქრონიულ მეტყველებაზე დაკვირვების საშუალება.

ველზე ვიმუშავეთ წინასწარშემუშავებული გეგმის მიხედვით. ჩვენ ვაკვირდებოდით სვანური ენის მატარებელ რესპონდენტთა მეტყველებას ორი ძირითადი მიმართულებით: ა) ფონეტიკური მრავალფეროვნების თვალსაზრისით. ბ) სვანური ენის გრამატიკის ერთ-ერთი რთული უბნის – ორფუძიანი ბრუნების გამოყენება-არგამოყენების თვალსაზრისით; დაკვირვებისთვის, ექსპედიციის ხელმძღვანელმა განგვისაზღვრა საერთო თემა: სვანური ბრუნების 5 ტიპიდან რომელი აღმოჩნდა ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და, ზოგადად, ხომ არ შეინიშნებოდა გამარტივების ტენდენცია; მით უფრო, ჯერ კიდევ ვარლამ თოფურია აღნიშნავდა, რომ ბრუნების ტიპების უნიფიკაცია დაწყებულიაო. აღსანიშნავია, რომ ექსპედიციის თითოეულ მონაწილეს საკუთარი „მინიგეგმაც“ ჰქონდა, რაც ნებისმიერი თემატიკის ტექსტების ჩანერას ითვალისწინებდა. სავსე მუშაობის დროს ვესაუბრეთ დაახლოებით 35-მდე რესპონდენტს, მათ შორის იყვნენ ბავშვებიც. ექსპედიციაში მოპოვებული ემპირიული მასალა დავაგჯუფეთ თემატურად დიალექტისა და მთქმელების ასაკობრივი კატეგორიის, სქესის მიხედვით. ყურადღება გავამახვილეთ „დედის დიალექტზეც“, რაც ერთობ საინტერესო გამოდგა ინტერფერენციის თვალსაზრისით. მოპოვებული მასალის ანალიზმა განსხვავებული სურათი აჩვენა აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ორფუძიანი ბრუნების ფორმები უცხო არ არის არც ერთი თაობის სვანისთვის, თუმცა ეს დასტურდება მხოლოდ მრავალჯერადი ჩაკითხვის შედეგად. ამ უნიკალურ მოვლენას არა მარტო გამარტივების ტენდენცია შეხება (როგორც მოსალოდნელი იყო!), არამედ ხშირია ფორმათა აღრევა-დამახინჯების შემთხვევებიც.

ბექა ფაჩულია

იოსებ ყიფშიძე ქართველური ენების სწავლისა და სწავლების მნიშვნელობაზე

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენები, იოსებ ყიფშიძე, სწავლა, სწავლება.

იოსებ ყიფშიძემ მხოლოდ 36 წელი იცოცხლა, მაგრამ ანგარიშგასაწევი მეცნიერული მემკვიდრეობის დატოვება მოასწრო; მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობას მიუძღვნა. იოსებ ყიფშიძეს – ივანე ჯავახიშვილის თანამოაზრეს, თბილისის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის პირველ გამგეს კარგად ესმოდა ქართველური ენების სწავლისა და სწავლების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ამ მიმართულებით იგი დაუღალავად იღვწოდა. ი. ყიფშიძემ განსაკუთრებული ამაგი დასდო მეგრულისა და ლაზურის მეცნიერული შესწავლის საქმეს, ქრესტომათიისა და ლექსიკონის შედგენას.

მოხსენებაში ი. ყიფშიძის პოზიცია ქართველური ენების სწავლისა და სწავლების შესახებ განხილულია მისი საგაზეთო წერილის მიხედვით: „ოდისა და სამურზაყანოში (მგზავრის შენიშვნები)“, გამოქვეყნდა 1911 წელს ქუთაისში, გაზეთ „კოლხიდაში“ (№117) „მაკოშვილი-ალექსიძის“ ფსევდონიმით (აღნიშნული წერილი გადაბეჭდილია კრებულში „უნივერსიტეტის იდეა და ქართველურ ენათა კვლევისა და სწავლების მნიშვნელობა“ (2019:31-36). ავტორი წერილს ანეკდოტური ამბების მოყოლით იწყებს იმის საჩვენებლად, თუ როგორი გაუგებრობა შეიძლება მოჰყვეს თავად ქართველებს შორის ამ ენების არცოდნას. ი. ყიფშიძე დასახელებულ წერილში ყურადღებას ამახვილებს ქართველთა ერთიანობის ხელშემწყობ ფაქტორებზე.

კესო შამათავა

ერგატივის ფუნქციური დატვირთვა მეგრულში

საკვანძო სიტყვები: ერგატივი, მეგრული ენა, ფუნქციური დატვირთვა.

ერგატივი, იგივე მოთხრობითი, აქტიური სუბიექტის (მოქმედი სახელის) ბრუნვაა. მეგრულში აღნიშნული ბრუნვის ნიშანია **-ქ** სუფიქსი, რომლის ნაცვალსახელურ წარმომავლობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ იოსებ ყიფშიძე მიუთითებდა (აღსანიშნავია, რომ მეცნიერი მოთხრობითს „ნაცვალსახელურ მიცემითს“ უწოდებდა) (Кипшидзе 1914: 021-022). მეგრულში, როგორც არასალიტერატურო ენაში, ერგატივის **ფუნქციური დატვირთვა** გაზრდილია, რაზეც მიუთითებს შემდეგი გარემოებები:

II სერიის ყველა ზმნასთან, გარდამავლობის მიუხედავად, სუბიექტი დგას მოთხრობით ბრუნვაში:

(1) ძღაბი-ქ დოჭარუ წერილი „გოგო-მ დანერა წერილი“, შდრ.:

(2) წერილ-ქ დიიჭარუ „წერილი დაინერა“, სიტყვასიტყვით: „წერილ-მა დაინერა“.

ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი დაირთავს მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს:

(3) ძალამ-ქ მენონუ „ძალიან / სიტყვასიტყვით: „ძალიან-მა“ მოენონა“.

ერთ-ერთ ძირითად დროშიც – აწმყოშიც და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში – მყოფადასა და თურმეობითებში სუბიექტის აქტივობა მარკირებულია ზმნაში **-ქ** სუფიქსით:

(4) მა ვჭარუნ-ქ წერილს „მე ვწერ წერილს“; სი ჭარუნ-ქ წერილს „შენ წერ წერილს“.

(5) მა დოჭარუნ-ქ წერილს „მე დავწერ წერილს“; სი დოჭარუნ-ქ წერილს „შენ დანერ წერილს“.

(6) მა ნოჭარუნ-ქ წერილს „მე თურმე ვწერ წერილს“; სი ნოჭარუნ-ქ წერილს „შენ თურმე წერ წერილს“.

ზმნურ ფორმებში დადასტურებული **-ქ** სუფიქსის გენეზისი ნაცვალსახელურია და ერგატივის ფუნქციის გაფართოებას უკავშირდება.

ნანა შოშიაშვილი

ანთროპონიმები იაკობ გოგებაშვილის საანბანე სახელმძღვანელოში

საკვანძო სიტყვები: ანთროპონიმები, იაკობ გოგებაშვილი, დედაენა.

იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ორი ნაწილისგან შედგება, პირველი საანბანე ნაწილია, მეორე – საკითხავი წიგნი.

ჩვენი კვლევის ობიექტი საანბანე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საკუთარი სახელებია; კერძოდ, ყურადღება გავამახვილეთ, რომელი ანთროპონიმები გამოიყენა ავტორმა. საანბანე წიგნში სულ 26 განსხვავებული ლექსიკური ერთეული, ონიმი, დადასტურდა (სოსო, თომა, მამო, ზაზა...). ყველაზე ხშირად საკუთარი სახელი „სესე“ შეგვხვდა (7-ჯერ), მაგრამ გამეორების თვალსაზრისით ის მხოლოდ 3 გაკვეთილში იყო წარმოდგენილი, ხოლო სახელი „კეკე“, მართალია, რაოდენობრივად მცირედით ჩამორჩა ზემოთ მოხმობილ ონიმს, მაგრამ შედარებით მეტ გაკვეთილში გამეორდა; შესაბამისად, გამოვკვეთეთ, რომელი სახელი შეიძლებოდა უფრო გავრცელებული ყოფილიყო იმ პერიოდში, რადგანაც იაკობ გოგებაშვილი ყველასთვის ნაცნობი სიტყვების გამოყენებით ცდილობდა გაკვეთილების შედგენას.

ძირითადად გვაინტერესებს: ავტორი ოფიციალურ, ე.წ. საპასპორტო ფორმებს უფრო ანიჭებს უპირატესობას თუ პარალელურ საკუთარ სახელებს; იყენებს თუ არა იგი ანთროპონიმების წარმოდგენისას იმავე პრინციპებს, რომლებითაც ხელმძღვანელობს საზოგადო სახელების შემთხვევაში? ირკვევა, საკუთარი სახელების შერჩევაც ერთგვარად იმ პრინციპებს ემყარება, რომლებიც საანბანე წიგნშია ზოგადად გამოყენებული: მარტივიდან რთული სიტყვისკენ და ნაცნობი მასალიდან უცნობისკენ მიჰყავს მოსწავლე. ანთროპონიმები უმეტესწილად ორმარცვლიანია, იშვიათად – სამმარცვლიანი; თანხმოვანს უმეტესწილად ხმოვანი მოსდევს..., მაგრამ თავს იჩენს თავისებურებებიც.

ამრიგად, დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ ღირსებებს.

ქრისტიანე ხობელია

საველე მუშაობა ჩემს სოფელში

საკვანძო სიტყვები: მეგრული ენა, არეალური დაყოფა, საველე მუშაობა.

ჩემი სოფელია ჭოლა, რომელიც შედის ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტში, სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში. ს. ჭოლას ესაზღვრება ნაკიანი და მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელი კურზუ, დასავლეთით – ხაბუმე, ჩრდილოეთით – თაია და ნაფი-ჩხოვო, ხოლო სამხრეთით – დაბა ჩხორონწყუ. ჭოლას მოსახლეობის შინასამეტყველო ენა მეგრულია; ცნობილია, რომ მეგრული მიეკუთვნება ქართველურ ენათა ოჯახს. მეგრული ენის კილოური დაყოფა არეალების მიხედვით ეფუძნება მორფონოლოგიურ და მორფოსინტაქსურ პროცესებს; ამის მიხედვით გამოყოფენ დასავლურ – ზუგდიდურ-სამურზაყანულ და აღმოსავლურ – სენაკურ კილოებს. რაც შეეხება სამეგრელოს ცენტრალურ ნაწილში მდებარე ხობისა და ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტების მეგრულ მეტყველებას, ზოგჯერ დასავლურს ემსგავსება, ზოგჯერ – აღმოსავლურს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჩემი სოფლის მეტყველებაზე დაკვირვება, რადგან მასში შეჯერებულია როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური კილოური მახასიათებლები.

საველე სამუშაოების ჩანაწერები მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩევა; კერძოდ, ეხება ბზობის, აღდგომის დღესასწაულების აღნიშვნას სამეგრელოში. ინფორმატორების მეტყველებაში გამოკვეთილად ისმის დასავლურისთვის დამახასიათებელი პალატალური „ლ“, მაშინ როცა მიცემითი ბრუნვისთვის ვერ დავადასტურეთ ასევე ზუგდიდურ-სამარზაყანულში გავრცელებული -ც ნიშანი; მაგალითად, „კოც“ და მსგავსი ფორმების ნაცვლად აღმოსავლურ არეალში გავრცელებული „კოს“ ფორმა დასტურდება.

ჩემს სოფელში საველე მუშაობა ძალიან საინტერესო იყო.

